2-14332/22
26-09-2022

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის ინიციატივით კანონპროექტის
წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით ამომრჩეველთა
საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის თაობაზე

გაცნობებთ, რომ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2022 წლის 26 სექტემბერს, კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ წარმოდგენილი არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის ინიციატივით „სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის (ზვიად ტომარაძის, ნიკოლოზ ხომასურიძის, ნიკოლოზ თურმანიძის, რამაზ ბექაურის, თემურ ლომიძის, მარიამ აბაშიძის, მარიამ რუსიშვილის, თეონა გაბისონიას, ბექა ამირეჯიბის, ლევან კეჭაყმაძის, ზურაბ ქუმსიაშვილის, ნოდარ ხუციშვილის, მაგდა ტყეშელაშვილის, დავით ნოზაძის, ნიკოლოზ კიკნაველიძის, გიორგი ბარდაველიძის, ბექარი მიქუჭაძისა და გივი შანიძის შემადგენლობით) განცხადება.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ მოწოდებული საინიციატივო ჯგუფის განცხადება და თანდართული მასალები წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 127-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.

კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარება. გადასცა სარეგისტრაციო მოწმობა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ აღნიშნული კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად დადგენილი ფორმის (ფურცლის) ნიმუში.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი ქადაგიშვილი